



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ენერგორესურსების მოხმარება
საქართველოში
2020**

17.12.2021

www.geostat.ge



17.12.2021

ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები (2020 წელი)

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, 5.9 პროცენტით შემცირდა და 11 159.8 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ელექტროენერჯის წარმოების შემცირება ძირითადად განპირობებული იყო (მშრალი) კლიმატური პირობებით და შემცირებული წყალმოდიწებით.

2020 წლის განმავლობაში მოპოვებულია 31.3 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (2019 წელთან შედარებით 10.8 პროცენტით ნაკლები), 99.3 ათასი ტონა ქვანახშირი (წინა წელთან შედარებით 6.5-ჯერ მეტი) და 8.9 მილიონი მ³ ბუნებრივი გაზი (წინა წელთან შედარებით 7.3 პროცენტით ნაკლები).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, შეშის წარმოება 6.4 პროცენტით შემცირდა და 1 212.0 ათასი მ³ შეადგინა. ამავე პერიოდში შემცირებულია ასევე სხვა ბიოსანვავისა და ნარჩენების წარმოება.

2020 წელს ელექტროენერჯის საბოლოო მოხმარებამ 11 479.3 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც 4.8 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.

2020 წლის მონაცემებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის მოცულობამ შეადგინა 2 699.7 მილიონი მ³ (წინა წელთან შედარებით 0.2 პროცენტით მეტი). წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის საბოლოო მოხმარებამ 2 006.5 მილიონი მ³ შეადგინა, რაც 3.3 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2019 წელთან შედარებით, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა შინამეურნეობების სექტორში (13.5 პროცენტით მეტი). მოთხოვნის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა აგრეთვე შემდეგ დარგებში: კვების მრეწველობა, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა. უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ტრანსპორტში ბუნებრივი გაზის მოხმარება შემცირებულია, რაც განპირობებულია გარკვეულწილად ფასის ზრდით და ბოლო პერიოდში თხევადი გაზის (LPG) მხრიდან გაზრდილი კონკურენციით. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ქვეყანაში ჰიბრიდული და ელექტროავტომობილების რაოდენობის ზრდა განაპირობებს ავტოტრანსპორტის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების შემცირებას.


გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წელს ქვეყანაში მოხმარებულია 1 287.9 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი, რაც წინა წელთან შედარებით 5.0 პროცენტით ნაკლებია. ზოგადად, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ენერგორესურსების მოხმარების მაჩვენებელთა კლება განპირობებულია ქვეყანაში კოვიდ-19 -ის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.12.2021

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში 2020 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას, გაანგარიშებულს ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, წარმოების სტრუქტურაში უდიდესი წილი (75.0 პროცენტი) მოდის ელექტროენერგიაზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებიდან წარმოებული ენერგია (17.1 პროცენტი), რაც ძირითადად წარმოდგენილია შემის სახით, ხოლო დანარჩენი სახეობის ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდება.


წარმოებული ენერგორესურსები, 2020 წელი
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)



ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 38.5 პროცენტი მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (29.3 პროცენტი) და ელექტროენერგია (22.0 პროცენტი). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერგიის 5.1 პროცენტს შეადგენს ბიოსაწვავი და ნარჩენები, ხოლო დარჩენილი 5.1 პროცენტი მოდის ქვანახშირზე და გეოთერმულ ენერგიაზე.

17.12.2021

მოხმარებული ენერგორესურსები, 2020 წელი
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)




2020 წლის ენერგორესურსების მოხმარების სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია შინამეურნეობების სექტორი, რომელზეც მოდის მთლიანი მოხმარების 31.4 პროცენტი. რაც შეეხება სხვა დარგებს, 30.3 პროცენტი მოდის ტრანსპორტის, 19.2 პროცენტი - მრეწველობის, 4.5 პროცენტი - მშენებლობის, 0.6 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგებზე, ხოლო დარჩენილი 14.0 პროცენტი - კერძო და სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა მომხმარებლებზე ნაწილდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.12.2021

ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურა საქართვების მიხედვით, 2020 წელი
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტით)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.12.2021

ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება საქართველოს მიხედვით 2013 - 2020 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	3 736.4	3 999.3	4 168.8	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9
მრეწველობა	1000 ტნე	805.5	804.7	843.8	789.5	885.1	925.8	887.5	860.4
	პროცენტი	21.5	20.1	20.2	18.0	19.9	21.0	19.3	19.2
მშენებლობა	1000 ტნე	141.0	163.8	159.2	171.5	180.9	185.9	245.5	201.9
	პროცენტი	3.8	4.1	3.8	3.9	4.1	4.2	5.3	4.5
ტრანსპორტი	1000 ტნე	1 127.7	1 266.9	1 388.5	1 539.0	1 395.6	1 367.4	1 418.5	1 359.1
	პროცენტი	30.2	31.7	33.3	35.0	31.3	31.0	30.9	30.3
შინამეურნეობები	1000 ტნე	1 159.3	1 182.3	1 200.8	1 265.6	1 336.3	1 227.3	1 300.7	1408.2
	პროცენტი	31.0	29.6	28.8	28.8	30.0	27.8	28.3	31.4
კერძო და სახელმწიფო მომსახურება	1000 ტნე	351.1	428.6	402.9	433.3	453.0	514.9	535.5	412.9
	პროცენტი	9.4	10.7	9.7	9.8	10.1	11.7	11.7	9.2
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1000 ტნე	13.7	12.1	18.7	31.4	32.3	27.6	27.2	24.9
	პროცენტი	0.4	0.3	0.4	0.7	0.7	0.6	0.6	0.6
სხვა	1000 ტნე	138.0	140.9	154.9	165.7	172.1	165.2	177.1	219.5
	პროცენტი	3.7	3.5	3.8	3.8	3.9	3.7	3.9	4.8

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.12.2021

მოხმარებული ენერგორესურსები 2013 - 2020 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	3 736.4	3 999.3	4 168.8	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9
ქვანახშირი	1000 ტნე	315.1	290.4	271.4	250.1	276.3	294.0	241.3	213.0
	პროცენტი	8.4	7.3	6.5	5.7	6.2	6.7	5.3	4.7
ნავთობპროდუქტები	1000 ტნე	990.3	1 050.3	1 200.5	1 432.7	1 297.2	1 267.4	1 379.3	1 313.3
	პროცენტი	26.5	26.3	28.8	32.6	29.1	28.7	30.0	29.3
ბუნებრივი გაზი	1000 ტნე	1 156.0	1 337.3	1 430.4	1 406.6	1 535.8	1 536.5	1 669.6	1 728.5
	პროცენტი	30.9	33.4	34.3	32.0	34.5	34.8	36.4	38.5
ელექტროენერჯია	1000 ტნე	780.3	841.4	851.8	901.7	963.8	1 026.4	1 036.9	987.0
	პროცენტი	20.9	21.0	20.4	20.5	21.6	23.3	22.6	22.0
გეოთერმული, მზის	1000 ტნე	13.5	14.9	16.5	18.4	18.8	19.1	19.4	17.2
	პროცენტი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
ბიოსაწვავი და ნარჩენები	1000 ტნე	481.1	465.0	398.2	386.6	363.3	270.8	245.5	227.8
	პროცენტი	12.9	11.6	9.6	8.8	8.2	6.1	5.3	5.1

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge